ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1993 ხუთშაბათი 18 მარტი №11 (10602) ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

აქტუალური ინტერვიუ

## ელექტროდეფიციტს ყაირათიანობით ვუწამლებთ

**შემოდგომა-ზამთრის ურთულესი სეზონი ზუგდიდელმა ენერგეტიკოსებმა, რომ იტყვიან, მინიმალური დაძაბულობით განვლეს. მხოლოდ უმადურ მომხმარებელს შეიძლება ზედმეტად აღიზიანებდეს ის ცალკეული წყვეტილობანი ელექტრომომსახურებაში, რაც ამ ჭირვეულ ზამთარს თან სდევდა.**

**წლევანდელი მკაცრი ზამთრის უმწვავეს პერიპეტიებზე გვესაუბრება ზუგდიდის ელექტროქსელის სამმართველოს უფროსის მოადგილე ბატონი გოგი გერგედავა:**

**—რას მივაწეროთ თქვენი სამსხურის შედარებით სტაბილურთან მიახლოებული მუშაობა შემოდგომა-ზამთრის სეზონში?**

—თქვენს მიერ დასმულ კითხვაში უკვე ვგრძნობთ გაზეთის ფართო მკითხველთა განწყობილების არაერთგვაროვან სპექტრს. კარგად გვესმის, რომ ჩვენს „მრევლში" ისეთებიც ურევია, რომლებიც ჩვეული ახირებით გამოჩხრიკავენ ხოლმე ზედმეტი პრეტენზიულობის საბაბს. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ელექტრომომსახურებაში ყველაფერი რიგზე გვქონდეს. მაგრამ იმის უფლებას კი მივცემთ თავს, რომ სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ: ეს იყო მთელი ჩვენი პერსონალის ზღვრული დაძაბვის ფასად მოპოვებული შედეგები. და ეს იმ დროს, როცა ფაქტიურად სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პარალიზებული გახლდათ. რაც ხელთ შეგვრჩა, იმ რესურსების ოპერატიული მანევრირებით და მუშაკთა უმეტესობის შეგნებული მიდგომით შევძელით ათასნაირი სიდუხჭირით გაწამებული მოსახლეობა სიბნელესა და სიცივეში არ ჩაძირულიყო.

**—რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის თანმდევი კოლიზიები თქვენც გაჭერთ თავის საცეცებს. რაში გამოიხატება ეს სიძნელეები თქვენეულ პრობლემებთან მიმართებაში?**

—იცით, უბედურება იმაშიცაა, რომ ზოგიერთი ჩვენი ვაითანამემამულე ელექტროენერგიის მოხმარებაში იჩენს ყოვლად შეუწყნარებელ ხელგაშლილობას, მე ვიტყოდი, სიხარბეს. ვერა და ვერ შევძელით მათ შეგნებაში იმის ჩანერგვა, რომ უყაირათობაა პირველი მომაკვდინებელი დარტყმა. მთელი ქსელისათვის. თუკი ამ ყბადაღებული ელექტროგამახურებელი მოწყობილობების ანგარიშმიუცემლად მოხმარების ბუმს არ დავძლევთ ზუგდიდელები ვერ შევძლებთ წელში გამართვას.

მომხმარებლები რაღაცნაირად უნდა მიეჩვიონ დღევანდელ გაზრდილ საგადასახადო ფასებს, რომლის მიზეზითაც ვაწყდებით ზოგჯერ გაუგებარ კონფლიქტებს უნდა კარგად გაიგონ, თუ რა წინააღმდეგობების, ნერვების ხარჯვის ფასად გვიჯდება ყოველი მეტრი სადენის, ყოველი ცალი გამომრთველის და სხვა ათასნაირი ელექტრომასალების მოპოვება. ელექტროენერგიის ხარჯის საფასურის დროული გადახდა იქნება გარანტი მოსახლეობის ელექტროენერგიით სამიმედოდ გამოკვებისა. ამდაგვარი დამოკიდებულება უმტკივნეულოდ დაგვარეგულირებინებს საბაზრო ეკონომიკით მოტანილ ყველა კაპრიზს,

**—დადგა გაზაფხული. როგორ ფიქრობთ, ეს პერიოდი კიდევ უფრო დაძაბული გრაფიკით იქნება ალბეჭდილი, თუ რაღაცნაირი ამოსუნთქვის გარანტიებს უფრო რეალურად მოიძიებთ?**

—ამთავითვე ერთს ვიტყვით: რაც არ უნდა სირთულეები შეგვაგებოს დღევანდელმა ცნობილმა მდგომარეობამ, პერსონალი მზადაა მაქსიმალური ძალისხმევით შეეჭიდოს მას. ალბათ ისევ და ისევ მოგვიწევს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში არსებული სიძნელეების დაძლევა, სამსახურის ყველა რგოლის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, იმის იმედიც არ გადაგვიწურავს, რომ ხვალ და ზეგ პოლიტიკური ვითარებაც. ნორმალური გახდება.

ერთი სიტყვით, მომხმარებლებს მოქნილ მუშაობას ვპირდებით. ოღონდ მათი მხრიდანაც სრულ გაგებას და თანადგომას ველით.

## ხალხს ასე სჯერა

**ყველას გვახსოვს შარშანდელი ერთი შემზარავი დღე. ბნელმა ძალებმა ცეცხლის ალში გაახვიეს ერის წმიდათაწმიდა სალოცავი —კოლხური კოშკი. განა ძნელი მისახვედრია, თუ ვინ მოიმოქმედა ეს ავკაცობა? იმ კრიმინალურმა ძალებმა, ვისაც განუზრახავს პარპაში საქართველოში, ვისაც განუზრახავს ზნეობის, სამართლიანობის ფეხქვეშ გათელვა ჩვენს ბედკრულ მიწაზე. მაგრამ უნდა უწყოდნენ ორჯონიკიძისა და ბერბიჭაშვილის სულიერმა მემკვიდრეებმა, რომ ამ ვანდალური აქტით ისტორიაში დაიმკვიდრეს ერის მოღალატის სახელი**

**როგორც მარად შეუმუსრავია სვეტიცხოველი, ისე ამაყად იდგება სამარადჟამოდ დიდი კონსტანტინეს კოლხური კოშკი, როგორც ქართული სულის უკვდავების, იბერიულ-კავკასიური ერთობის ურყევი ციტადელი.**

ო. ნემსაძე.

**ბოლო დროს თავჩენილ პრობლემათაგან ერთერთი სასმელი წყლის ნაკლებობა გახლავთ. ამას ადასტურებენ რედაქციაში შემოსული წერილები, რომელთა ავტორები, ჩვენი თანამოქალაქეები, მოითხოვენ განვუმარტოთ: რამ განაპირობა ასე ხანგრძლივი და უსაშველო ვაკუუმი მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფაში, როდის მოითქვამენ „სულს" ხახამშრალი ონკანები, აინტერესებთ წყალმომარაგებასთან დაკავშირებული სხვა მტკივნეული საკითხებიც...**

პრობლემა

## უახლოეს დღეებში გადაწყდება

მოსახლეობის შენიშვნა, შეიძლება ითქვას, წუხილი და აღშფოთება წყალმომარაგებაში შექმნილი რთული სიტუაციის გამო, სამართლიანია,—ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ქალაქ ზუგდიდის წყალკანალის სამმართველოს უფროსმა გივი კილასონიამ. თითქმის ოთხი თვის წინ მწყობრიდან გამოვიდა რეჩხის წყალსატუმბი სადგურის რვაასი კილოვატის სიმძლავრის ორი ელექტროძრავა. რეჩხიდან აბსოლუტურად შეწყდა სასმელი წყლის მიღება. ჩვენ დაუყოვნებლივ მივავლინეთ სამმართველოს ორი პასუხისმგებელი მუშაკი მოსკოვში ახალი ძრავების სამისოდ უზარმაზარი თანხის შესაძენად და ჩამოსატანად. დიდი წვალება-ჯახირის შემდეგ სამაოდ სოლიდურ თანხად შეძენილი ძრავები სატვირთო ავტომანქანით წამოიღეს ჩვენმა წარმომადგენლებმა, მაგრამ მათი სვლაგეზი ქალაქ სოჭის მიდამოებში დამუხრუჭდა აფხაზეთში დატრიალებული ცნობილი ამბების გამო. მხედველობაში მაქვს მდინარე გუმისთას იქითა ტერიტორიის ბლოკირება აფხაზ სეპარატისტების მიერ. ასე, რომ ნანატრი ძრავებით დატვირთული „კამაზი" დღემდე სოჭში დგას. ჩვენი წარმომადგენლები ამჟამად იმის ცდაში არიან, რომ ტვირთი საზღვაო გზით წამოიღონ. სხვა გამოსავალი არ არის.

გადახდა მოგვიწევს, რაც უთუოდ დააკაბალებს წყალკანალის სამმართველოს ისედაც ნულოვან ფინანსურ მდგომარეობას. სხვათაშორის, სამმართველოს კოლექტივს ხელფასი სამი თვეა არ მიუღია ფულადი შემოსავლების უქონლობის გამო.

ამჟამად ქალაქის მოსახლეობის, საწარმო-დაწესებულებების მხოლოდ ორმოცდაათი პროცენტი ღებულობს წყალს გრაფიკის მიხედვით, რუხის წყალსატუმბი სისტემიდან. ახალ ძრავებს უახლოეს დღეებში მოველით, ხოლო მის დამონტაჟებასა და ამუშავებას სულ რაღაც 3-4 დღეა სჭირდება. მაგრამ არის სხვა საგულისხმო მომენტიც. კერძოდ ის, რომ სანამ ელექტროძაბვა სტაბილური არ გახდება, მეტად სარისკოა ახალი ელექტრო ძრავების ამოქმედება რამეთუ მათი წინამორბედი. ძრავები სწორედ სუსტმა და არამდგრადმა ძაბვამ გამოიყვანა წყობილებიდან.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოსახლეობა გაგებით შეხვდება ამ ინფორმაციას.

მღელვარე მოვლენების ქრონიკა

## უკიდურესი სისასტიკით

**აფხაზ სეპარატისტები და მათი ძლევამოსილი მხარდამჭერები სისხლის კალოს აყენებენ აფხაზეთში. ამ ბოლო დღეებში უკიდურესი სისასტიკით დაიბომბა სოხუმი. არის დიდძალი მსხვერპლი. აშკარაა, რომ რუსეთის იმპერიული ძალები საქართველოს საბოლოო დაჩოქებას ცდილობენ. ფაქტობრივი ხელისუფლება მიმართავს ღონისძიებებს ქართველთა პოზიციების დასაცავად. რესპუბლიკა საყოველთაო მობილიზაციისათვის მზადყოფნის მდგომარეობაშია.**

**რაღათქმა უნდა, ზუგდიდიც ვერ რჩება გულგრილი უკანასკნელი მოვლენებისადმი. სოხუმის დამცველებს გაეგზავნათ გარკვეული დახმარება.**

საწარმოები რეორგანიზაციის რელსებზე

## ახლოა სეზონი

წარმოების დონის დაცემას არავითარი სიკეთე არ მოაქვს არავისათვის, ხოლო მისი ზრდა, ბუნებრივია, ცხოვრების დონის ამაღლების გარანტიაა!

გარდამავალ პერიოდში არც ისე ადვილია ორიენტირებული მრეწველობის გადაყვანა სხვა მიმართულებაზე, მაგრამ რეორგანიზაციამ შესაბამისად აქაც უნდა თქვას თავისი სიტყვა.

ჩაის ფაბრიკების ფლაგმანი № 1 ფაბრიკის კოლექტივი ემზადება სეზონისათვის. იმართება საროლერო ხაზები, მიმდინარეობს აგრეგატების, ღუმელების შეკეთება და სხვა. წინა სეზონებთან განსხვავებით ფაბრიკა განურჩევლად გრაფიკისა, ნედლეულს მიიღებს ყველა საზოგადოებრივი მეურნეობიდან. ამიერიდან ნედლეულის ფასების დადგენის შემდეგ, ხელშეკრულებები გაფორმდება საზოგადოებრივ მეურნეობებთან და უდანაკარგოდ მიიღება ყველა მოწოდებული ნედლეული.

სეზონისათვის მზადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის საქმეს წარმართავენ მთავარი მექანიკოსი ვ. ბებია და ენერგეტიკოსი გ. წიფურია.

სეზონისათვის მზადების სამუშაოები დასასრულს უახლოვდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული სკოლა და დღევანდელობა

# დროშ დიდი მისია დაგვაკისრა

ჩვენს ქალაქში 1990 წლის აგვისტოდან ფუნქციონირებს პროფილირებულ -ექსპერიმენტული" სკოლა. აღნიშნული სასწავლებელი მუშაობს ი. გოგებაშვილის სახელობის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმითა და პროგრამებით. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, პროფილურ - დიფერენცირებული სწავლება დიდი უპირატესობით სარგებლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან შედარებით. ჩვენ ვცდილობთ თვისობრივად ახალ დონეზე ვმართოთ სწავლების, სასწავლო პროგრამების, მასწავლებელთა. და მოსწავლეთა შერჩევის, მოსწავლეებთან დამოკიდებულების და რიგი სხვა საკითხები.

სკოლაში ფუნქციონირებს ფიზიკა-მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის, ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროფილების მე-9, მე-11 კლასები, სადაც ასწავლიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: ც. კვიკვინია, გ. ზელქანია, გ. ფხართია, ბ. გვაზავა, ნ. ქირია, მ. თოდუა და სხვები.

სკოლაში სასწავლო პროცესი ისეა წარმართული, რომ ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ხდება მომავალ მამულიშვილთა მსოფლმხედველობის, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება.

ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება-ფორმირების პროცესში გამოსავალ გზად გვესახება მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნით სკოლაში შემოღებულია ღვთისმეტყველებისა და ხელოვნების ისტორიის, როგორც სასწავლო საგნის სწავლება (პედაგოგები: მ. ჰანტურია, მ. ბუკია, მ. ნაჭყებია). ვიმუშავებთ მხატვრული ლიტერატურის ესთეტიკური აღქმის უნარჩვევებს, ვხვეწთ წერის სტილს, ვთავისუფლდებით სტერეოტიპებისაგან, ვყალიბდებით თავისუფალ პიროვნებებად, მამულიშვილებად.

დაარსების დღიდან სკოლას გარკვეული დახმარება გაუწიეს ქალაქის საწარმოებმა და დაწესებულებებმა. ამ მხრივ აღსანიშნავია ქალაქის გამგებლის ოთარ ფაცაციას მხარდაჭერა. ამაგი დაგვდეს ენგურქაღალდკომბინატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მ. ნაჭყებიამ, ჩაის კომბინატის დირექტორმა ლ. ჯიქიამ, ჩაის პირველი ფაბრიკის დირექტორმა გ. გოგოხიამ, ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის დირექტორმა ნ. გულუამ, მე-12 სამშენებლო ტრესტის მმართველმა დ. ქუჩულორიამ და სხვებმა.

მუშაობაში ხელს გვიშლის მთელი რიგი პრობლემები. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ სკოლას არ გააჩნია საკუთარი შენობა. მოუგვარებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი. ფუნქციონირების დაწყებიდან სკოლამ გამოიცვალა სამი შენობა. ასევე მოხდა მიმდინარე წელსაც. ამჟამად ჩაის კომბინატის დირექტორის ლ. ჯიქიას და განათლების განყოფილების ხელმძღვანელობის დახმარებით გამოინახა სკოლამდელი აღზრდის დროებით ფუნქციონირება შეწყვეტილი შენობის ნაწილი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული პედაგოგიკის ინსტიტუტის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამების მოთხოვნებს ჩვენი სახელმძღვანელოები არ შეესაბამება. ისინი შედგენილია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე, რომლებიც მოვლენის ჭეშმარიტად აღქმის საშუალებას არ იძლევა. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების სწავლებას. ყოველივე ეს ქმნის დამატებით სიძნელეებს, მით უფრო ჩვენს პირობებში, როცა არ გაგვაჩნია არავითარი ლაბორატორია, თვალსაჩინოებანი და ა. შ.

სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება საოლიმპიადო მათემატიკური კრებულების, სხვადასხვა ტესტების შედგენა-გამოცემის საქმეში. ამ საქმიანობის გაგრძელებაში სკოლა საჭიროებს თანადგომას, როგორც ზემდგომი ორგანოების, ასევე ქალაქის საწარმო-დაწესებულებების მხრიდან.

აუცილებლად უნდა შეიცვალოს სკოლისადმი, სასწავლო-სააღმზრდელო პრობლემებისადმი, სწავლების ფორმისა და შინაარსისადმი მიდგომა. სამწუხაროდ, ამდაგვარი ახლებური მიდგომა ნაკლებად ეტყობა დღევანდელ სკოლას. თითქმის ყველაფერი რჩება „ძველებურად", რაც ყოვლად გაუგებარი და შეუწყნარებელია.

მომავალ საქართველოს ნამდვილი მამულიშვილები სჭირდება და ამ უძნელეს საქმეში ახალმა სკოლამ თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას.

ზ. კუპრეიშვილი,
პროფილირებულ-ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

## დახმარებას ითხოვენ

კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერის ძველი შენობა, მეტნაკლებად სრულყოფილი აღჭურვილობით და რამდენიმე ათეული მძიმე ავადმყოფისთვის განკუთვნილი სტაციონარით, აგვისტოს თვეში, მორიგ ზუგდიდურ „შემთხვევით" ხანძარს შეეწირა. თანამშრომლებმა შერჩენილი მარტივი სამედიცინო მასალით და ხელსაწყოებით დამხმარე ნაგებობას (საკუჩნაოს) შეაფარეს თავი.

დღეს მთელი ზუგდიდი უსახსრობას, უქონლობას განიცდის და მარეობა გაზაფხულობით [illegible] გვარ ინფექციურ დაავადებას გვპირდება (უკვე აღრიცხულია მუნის (ბღარი) არაერთი შემთხვევა). საინტერესოა, მაშინ ვია უხვევდა მიმართონ ავადმყოფებმა? ან სად მოიკითხონ ექიმები? (სხვათაშორის, მედპერსონალის შემცირების საკითხიც დგას თურმე დღის წესრიგში).

—ჩვენთვის არავინ ზრუნავს, ე. ი. არ ვჭირდებით,—უკმაყოფილოდ განაცხადეს დისპანსერის თანამშრომლებმა,

საერთოდ უარყოფითი ემოციებითაა დამუხტული, მაგრამ სამედიცინო სამსახურის ასეთი უბადრუკი ყოფა, როგორშიც დისპანსერის სამედიცინო პერსონალია აღმოჩენილი, გაუსაძლისია. პატაწინა, შეძლებისდაგვარად დასუფთავებულ ოთახებში, სადაც რამდენიმე თანამშრომელია ერთად შეყუჟული, მინიმალური პირობები არ არსებობს ავადმყოფთა მომსახურებისთვის. უფრო მეტიც, გ მდინარე წყლის უქონლობის გამო თავად მედპერსონალს უჭირს სანიტარული ნორმების დაცვა. არ გააჩნიათ აუცილებელი მედიკამენტები, სამედიცინო სპირტიც კი. უჭირს ლაბორატორიასაც. ქალთა კონსულტაციისთვის განკუთვნილი ოთახი უვარგისია. დისპანსერს არ ემსახურება ტრანსპორტი საწვავის უქონლობის გამო, არადა, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად მედიკოსთა ჯგუფს ყოველდღიურად უწევს, ქალაქის სხვადასხვა უბანში მოძრაობა. როგორც დისპანსერის თანამშრომლებმა გვითხრეს, მართალია კულისებში, მაგრამ არის თურმე საუბარი მათი ამ დამხმარე ნაგებობიდანაც გასახლების შესახებ. იმ „უბრალო" მიზეზით, რომ დისპანსერის ტერიტორია (მიწა) ვიღაცას სჭირდება.

ვფიქრობთ, ამის დაშვება შეუძლებელია. ქალაქში არსებული გაუგონარი ანტისანიტარული მდგომარეობის [illegible]

—ხვას ჩვენი რა იმედი უნდა ჰქონდეს, როცა დისპანსერია ეგო თავად გახდება ძალე ეპიდემიის კერა. ხასახოალი მეხოაა სავსეა ძველი ძალლებით. მოსახლეობა საკუთარ ხაგვსაც აქ ყრის. ორი შემოსასვლელი გვაქვს წინა კარებს ავკეტავთ, გვერდითა კარებიდან შემოიტანენ ბაგავს, გვეოდით ჩავკეტავთ წინა კარებიდან შემოიპარებიან. სანაგვეში ვზივართ. არ დავიზარებთ, დავასუფთავებთ, მაგრამ როდემდე, რამდენჯერ? — გულისტკივილს ვერ მალავს დისპანსერის მთავარი ექთანი ლამარა ბაქაცარია.

მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ელისე კვირკველია, ჩვენთან საუბარში, ძირითადად აუცილებელი მედიკამენტების, მალამოების უქონლობას უჩივის—წამალი გაძვირდა და ძვირადღირებულს უფასოდ ჩვენ ვინ მოგვცემს. არადა, შეილო, მუნის საწინააღმდეგო, უმარტივეს წამალს 800 მანეთად ყიდიან. ბევრი ნამდვილად ვერ შეძლებს მის შოვნასო.

კანისა და ვენერულ სნეულებათა დისპანსერის თანამშრომლები სერიოზულ ყურადღებას და დახმარებას ითხოვენ ქალაქის ჯანდაცვის განყოფილებისაგან და საერთოდ, ქალაქის ხელმძღვანელობისაგან. იმედია, ისინი შესაძლებელს არ დაიშურებენ.

ნ. მოსიძე.

შტრიხები მამულიშვილის პორტრეტისათვის

# დღეგრძელე, ბატონო აკაკი!

მუდამ სიყვარულით ვიგონებ 60-იანი წლების თბილისს. მთაწმინდიდან მონაბერ ნიავზე ნაზად მოშრიალე ჭადრებს და საინტერესო ადამიანების სილუეტებს აურიამულებული რუსთაველის გამზირზე.

და ადამიანთა ამ მედინ ტალღაში ზოგჯერ გამოკრთებოდა სალუქი სახე ჩვენი სათაყვანებელი ლექტორისა. მეტწილად ასეთი გვახსოვს: ხმაურიან სივრცეს განრიდებული, საკუთარ ზმანებებს მინდობილი, მისთვის ჩვეული, ოდნავ აჩქარებული ნაბიჯებით მიმავალი...

საით მიიჩქაროდა პროფესორი? ცნობისმოყვარე, თვალებანთებული სტუდენტებით სავსე აუდიტორიისაკენ, რათა სიბრძნის ახალი ულუფა ეწილადებინა მათთვის. ან ნაცნობი წიგნსაცავისკენ, რათა მისი შემტვერილი ფოლიანტებიდან მორიგი სულიერი საზრდო მიეღო. შესაძლოა თავისი განუყრელი ინტელექტუალური საძმოსკენ, რათა მისთვის გულის- ვარამი გაეზიარებინა.

60-იანი წლების თბილისი. აგერ, დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე რაინდული ლირსებით მოაბიჯებს ქართული პროზის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია. ხელკავით მოყვება თავისი სულიერი ძმა, ქართული კულტურის უბადლო მკვლევარი პავლე ინგოროყვა. მათ თან ახლავს ბატონი აკაკი გაწერელია.

რაღა დაგვრჩენოდა ჩვენ, ქართული კულტურის თავანკარა წყაროებს დაწაფებულ ყმაწვილკაცებს გარდა იმისა, რომ ფამილიარობამდე მისული სითამამით „მოგვესელთებინა" ეს მშვენიერი სამეული და ახლომდგარი ჭადრის ჩრდილში დავმტკბარიყავით მათი ბრძნული საუბარით.

ბატონი აკაკი გაწერელია. ამ პიროვნებაზე ფიქრისას გონებაში ცოცხლდება სწორუპოვარი მეცნიერის საოცარი წერილები, ნარკვევები, ესეები, ნოველები, რომანები, მონოგრაფიები. რად ღირს მისი სტატიები ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ვაჟა ფშაველაზე, თეოდორ დოსტოევსკიზე. იური ტინიანოვზე. აზრის ლოგიკური სიმწყობრის და უნატიფესი სტილის ამდაგვარი დაწყვილება იშვიათია. ისეთივე უნიკალური, როგორც თავად ბატონი აკაკი. ყოველთვის გვაოცებდა მისი ანალიტიკური ჭკუა, ცივ რაციონალიზმს გამიჯნული, შინაგანი ღვთაებრივი შუქით განათებული. აზროვნების რა ჯუღლმულები არ მოუხილავს მის ყოვლისმჭვრეტელ ინტელექტს, ნეტარ ავგუსტინესა და ლეგენდარული შამილის სულისმიერ კირთებაზე დაფიქრებულ ბრძენკაცს.

არაერთგზის მინახავს იგი კათედრაზე შემართული, ლიტერატურული არაკომპეტენტურობის, უზნეობის მომგერიებელი. ბუნებით მშვიდი და ტოლერანტი, იგი ისეთ წუთებში ავლენდა პოლემიკის ეთიკურ ნორმებში ჩატეულ მაგრამ ზღვრამდე მისულ პრინციპულობას და ზნეობრივ მაქსიმალიზმს. სხვანაირად ხომ მას საერთოდ არ ძალუძს, ქართული კულტურის სიწმინდის სადარაჯოზე ქედუხრელად მდგომ ერისკაცს.

ბატონი აკაკი გაწერელია. მთელი თაობების ლიტერატურული გემოვნების დამკვალიანებელი, სულიერი მოძღვარი, ჯერაც მიუწვდომელ ინტელექტუალურ სანიშნოებზე მუდმივად მზერა მიპყრობილი...

დღესაც თავის ხალხთან, ახალგაზრდობასთან დგას მხცოვანი მეცნიერი. ეროვნული თავისუფლების იდეა მისთვის ის მარად უშრეტი სულიერი ენერგიის წყაროა, რომელმაც ახალი სამერმისო გზები უნდა გაუკვალოს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას.

იგი სხვა ჭეშმარიტ მამულიშვილებთან ერთად იბრძვის ქართველი ერის ზნეობრივი აღორძინებისათვის.

; საყოველთაო ზიზღი ძალმომრეობას, განუკითხაობას, უზნეობას! ზარებს არისხებს საქართველოს სამრეკლოდან ჭეშმარიტი მამულიშვილი.

იგი პირადად დიდი ხანია ეზიარა შინაგან, სულისმიერ თავისუფლებას. ახლა სამშობლოს თავისუფლებისათვის ირჯება.

გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს" რედკოლეგიაში მისი სახელი და გვარი ქართველობას გულში დიდ იმედებს გვისახავს.

ზურაბ ცხონდია.

ახალი გამოცემები

## წაიკითხეთ „ანტიქრისტე"

„ანტიქრისტე" —ასეთი სახელწოდებით გამოვიდა საინტერესო ბროშურა, რომლის ავტორია დეკანოზი ბორისი, საზღვარგარეთ მოქმედი რუსული მართლმადიდებელი (ემიგრაციის) ეკლესიის მღვდელმსახური.

გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ანტიქრისტეს გამოჩენა, რომელიც თავს ჭეშმარიტ მესიად, ამქვეყნად მოვლენილ ღმერთად გამოაცხადებს, თითქმის მთელ დედამიწაზე გაბატონდება და მრავალ ურწმუნო თუ მცირედ მორწმუნე ადამიანს შეაცდენს, კაცობრიობის დიდ ნაწილს დაღუპავს. მისი გამოჩენა მოხდება შვიდი წლით ადრე ქვეყნის დასასრულამდე და ქრისტეს მეორედ მოსვლამდე...

„ანტიქრისტე" უცილობლად დააკმაყოფილებს იმ მკითხველთა ცნობისმოყვარეობას, რომლებიც აღნიშნული ხასიათის ლიტერატურას მიელტვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი ქრისტიანის ცხოვრებისა

რაც დრო გადის, იზრდება ინტერესი ჭეშმარიტი რწმენისადმი. მარხვა ქრისტიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მკითხველებს ვთავაზობთ გაზეთ „მადლიდან“ გადმობეჭდილ ა. ფაჩუაშვილის წერილის ნაწყვეტს დიდმარხვის შესახებ:

# დიდი წმინდა მარხვა

დიდი მარხვა ძეღრე კვირიდან ვნების შვიდეულამდე შემდეგნაირად უნდა წარვმართოთ: ვისაც შეუძლია, საკვები მიიღოს დღეში ორჯერ (ან სამჯერ). მკაცრი მარხვა შეიძლება მხოლოდ ოთხშაბათობით და პარასკეობით, როდესაც ვიკვებებით ასევე ორჯერ (ან სამჯერ), მაგრამ ვცდილობთ ზეთს მოვერიდოთ.

ლოცვები იგივეა, რაც პირველ კვირაში.

„ლაზარეს შაბათი“ ანუ „ბზობა“.

მარხვის შუა პერიოდს აგვირგვინებს ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო დღესასწაული „ბზობა“ — იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში, რომელიც დიდმარხვის მე-6 კვირიაკეს იდღესასწაულება. ამ დღესასწაულს წინ უძღვის ე. წ. „ლაზარეს შაბათი“, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს მიერ თავისი მეგობრის, ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინებას. ეს არის აგრეთვე დღესასწაული ქართული ენისა, რამეთუ „სახარებასა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“ („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“).

ქართველ ხალხს ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება ძველთაგანვე ქართული ენისა და სრულიად საქართველოს აღდგინების სიმბოლოდ მიაჩნდა.

საეკლესიო წესით ლაზარეს შაბათი ხსნილია ხიზილალით, ხოლო ბზობის დღესასწაულზე ვისვამთ თევზსაც. ამ დღეს მორწმუნეებს ურიგდებათ ნაკურთხი ბზის ტოტები გასახსენებლად იმისა, თუ როგორ უფენდნენ ოდესღაც იესო ქრისტეს მწვანე რტოებს ებრაელები მისი იერუსალიმში დიდებით შესვლისას, პასექის უკანასკნელ დღესასწაულზე.

წინა წლის ბზის ნაკურთხი ტოტები შეგვიძლია ან ეკლესიაში მივიტანოთ, სადაც მათ შესაგროვებლად ადგილია გამოყოფილი, ან ჩვენვე დავწვათ სუფთა ადგილას.

ვნების შვიდეული. ა) დიდი ხუთშაბათი

ვნების შვიდეული ეწოდება დიდმარხვის მომდევნო კვირას იმის აღსანიშნავად, რომ ამ შვიდეულში მოხდა წმიდა ვნება ჯვარზე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ამ კვირაშიც, პირველი კვირის მსგავსად მკაცრად ვმარხულობთ, თუმცა ხუთშაბათი დღე ე. წ. „დიდი ხუთშაბათი“ ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა: ამ დღეს იესო ქრისტემ მოიწვია საიდუმლო სერობა თავისი თორმეტი მოწაფისა, დააწესა ზიარების საიდუმლო. ყველა ქრისტიანი უნდა ეცადოს, რომ დიდ ხუთშაბათს უზიარებელი არ დარჩეს.

ამავე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში სრულდება ფეხთბანის რიტუალი. ამით ჩვენ ვიხსენებთ, როგორ დაბანა ფეხები მაცხოვარმა თავის თორმეტ მოწაფეს.

„დიდი პარასკევი“

„დიდი პარასკევი“ ყველაზე მძიმე დღეა წლის განმავლობაში. ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამის გამო ეს დღე განსაკუთრებით წმიდად უნდა გავატაროთ; მაქსიმალურად ვეცადოთ საკუთარ თავში ჩაღრმავებას, მოვერიდოთ ურთიერთობებს, სხვისი საქციელის განკითხვას; სულ გვახსოვდეს ჯვარცმული მაცხოვარი, ვიყოთ მისი ჭირისუფალი.

ამ დღეს შეიძლება საზრდელზე უარიც კი ვთქვათ, ან მცირედ წავიხემსოთ დღის მეორე ნახევარში.

„დიდი შაბათი“

ვნების შვიდეულის შაბათს, რომელსაც „დიდ შაბათს“ ვუწოდებთ, დილით ადრე სრულდება გარდამოხსნის შემოტარება ეკლესიის გარშემო, რის შემდეგაც მას შუა ტაძარში დაასვენებენ. ეს რიტუალი მომასწავებელია უფლის წმინდა სხეულის გადმოსვენებისა ჯვარცმის ადგილიდან მისთვის გამზადებულ საფლავში, სრულდება წირვა, ხოლო ამის შემდეგ ვემზადებით იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად.

დიდი შაბათი ხსნილია ღვინითა და ზეთით, მაგრამ ვინც ზიარებისთვის ემზადება, საღამოს 8 საათის შემდეგ საზრდელი აღარ უნდა მიიღოს.

ღმერთმა მოგვცეს სულიერი და ფიზიკური ძალა, წმიდად გავატაროთ დიდი მარხვა; ვეცადოთ უფალთან ერთად ვეცვათ ჯვარს და მასთან ერთად ვცხონდეთ, რათა ისევე ბრწყინვალედ აღვდგეთ მკვდრეთით, როგორც აღდგა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ამინ!

# კორპორაცია „ქართული ფაიფური“ — II მ ე დ ი

ადრე მოწინავე ფაიფურის ქარხანას და მის მკლავმოუღლელ შრომით კოლექტივს ხანგრძლივმა იძულებითმა „დასვენებამ“ მოუწია. ძირითადი მიზეზი საწარმოო წყაროების სიმცირე გახლავთ. დღევანდელ პირობებში, ნედლეულის სამყოფი ოდენობით შემოზიდვა თანამეგობრობის ქვეყნებიდან მთელ რიგ სირთულეებთან და ხარჯებთან დაკავშირებული. ქარხნის მთავარი ეკონომისტის რუსლან კილასონიას ვარაუდით ნედლეულის შემოზიდვით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად მილიარდამდე მანეთია საჭირო. არადა, გამოშვებული ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციამ საეჭვოა, ამოქაჩოს ის დანახარჯი, რაც მასზეა გაწეული. სპეციალისტები გამოსავალს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში ეძებენ, რისთვისაც აუცილებელი იქნება ახალი ნიმუშების, ფორმების ნახატების შექმნა. არის სურვილი, წარმოებაში დაინერგოს ფართო მოხმარების (ჩაის, ყავის, სადილის) სერვიზი, მაგრამ უპირველესად ქარხანაში უნდა მოხდეს სერიოზული რეკონსტრუქცია. დაბალი ინვენსტიციიდან უცხოურ ვალუტაზე გადასვლა, რაც გააადვილებს საქმიანი ურთიერთობების დამყარებას საზღვარგარეთის ფირმებთან, აგრეთვე ხელს შეუწყობს იმპორტული დანადგარების, ძირითადად კი ევროპის მოწინავე ქვეყნებში არსებული მშრალი ტექნიკის შემოტანას.

ქარხნის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ადგილობრივ ნედლეულზეც, რომელიც ზედმეტ ხარჯს აარიდებს წარმოებას და არამცთუ აარიდებს, მოგებასაც მოუტანს. ჩვენი მკითხველები უკვე ინფორმირებულები არიან იმის შესახებ, რომ მეფაიფურეთა კვლევა-ძიებას და ფიქრს შემოტანილი ნედლეულის ადგილობრივი ნედლეულით შეცვლაზე უშედეგოდ არ ჩაუვლია. მათ ამიერკავკასიის მინერალოგიის ინსტიტუტთან, ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების კათედრასთან და გეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს ადგილობრივი ნედლეულის საკვლევაძიებო გამოცდის და წარმოებაში დანერგვის საქმეში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში აღმოჩენილია ფაიფურისა და კერამიკის წარმოებისთვის აუცილებელი ტრაქიტები, დენტონიტები, კვარცის ქვიშა, თაბაშირის და ფაიფურის ქვა, კაოლინის თიხები, რომლებიც სულ მალე წარმოებაში დაინერგება.

ზუგდიდელმა მეფაიფურეებმა ფაიფურისა და კერამიკის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ნედლეულების ადგილზე მიკვლევის შემდეგ გადაწყვიტეს შეექმნათ კორპორაცია „ქართული ფაიფური“, რომელიც ნებაყოფლობით გააერთიანებს რესპუბლიკაში არსებული ფაიფურისა და კერამიკის მცირე საწარმოებს და დახმარებას აღმოუჩენს მას როგორც ადგილობრივი ნედლეულის მომარაგებაში ასევე ქართული ფაიფურისა და კერამიკის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში. იქნება ეს სპეციალისტებით უზრუნველყოფა, მცირე საწარმოების, კომერციული თუ სამეცნიერო ცენტრების შექმნა, საერთაშორისო ბაზარზე გასვლა თუ მრავალი სხვა.

კორპორაცია უკვე რეგისტრირებულია, შემუშავებული აქვს საინტერესო და ტევადი სამუშაო პროგრამა. უახლოეს ხანებში, როგორც ამას ფაიფურის ქარხნის ხელმძღვანელთა ჯგუფი ვარაუდობს, ჩატარდება კორპორაციის პირველი კონგრესი.

ხელი უნდა შევუწყოთ სოფელს

მიუხედავად მრავალგვარი სიძნელეებისა, „სოფლნაყოფიერების“ ზუგდიდის სარაიონთაშორისო გაერთიანების კოლექტივი მოწოდებულია, მოამარაგოს კერძო მესაკუთრეები, საზოგადოებრივი მეურნეობები ფოსფოროვანი, აზოტოვანი და კალიუმიანი სასუქებით.

# სასუქები გასატანად მზადაა

გაერთიანების მმართველმა ო. ჟანიამ, ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

—არსებულ სიძნელეებზე ყველას კარგად მოეხსენება. ძნელია მის ფონზე ყველაფერი გქონდეს წესრიგში, მაგრამ ვცდილობთ შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შევუწყოთ სოფელს საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარების საქმეში.

ამჟამად, გაერთიანებას გააჩნია საკმაო რაოდენობით სასუქები, შხამ-ქიმიკატები, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს რაიონის მოთხოვნილებას.

სასუქების გაძვირებამ, ერთგვარად უნდა გამოიწვიოს მისი ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვა, რისთვისაც საჭირო და აუცილებელია ადგილებზე სპეციალისტებმა დააკონტროლონ ფართობები. უნდა დაზუსტდეს საჭირო რაოდენობა, რათა ადგილი არ ექნეს ძვირადღირებული სასუქების გაუფრთხილებლობას. ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს, რადგან დაგვიანებული თესვა, ჩაის ქვეშ სასუქების შეტანა, გამოიწვევს მოსავლიანობის მკვეთრ დაცემას. მიმაჩნია, რომ ყველა სამსახური უნდა იყოს დაინტერესებული დახარჯული თანხის უკუგებით.

ამჟამად სასუქების გასატანად მზადაა სათანადო ტექნიკა. აგროგაერთიანების ხელშეწყობით მიღებული გვაქვს საწვავი. გვაქვს საშუალება კვალიფიციური მექანიზმებითა და სათანადო ტექნიკით ადგილზე დახმარება გავუწიოთ სოფლებს ერთწლიანი კულტურებისათვის ნიადაგის მომზადების (ხვნა, ფარცხვა, თესვა) საქმეში. მიღებულია ზომები ჰერბიციდების მისაღებად.

სადღეისო ნომერ პირველი ამოცანაა: დაჩქარდეს ორგანიზაციებიდან განცხადების წარმოდგენა, სადაც დაზუსტებული უნდა იყოს კერძო მესაკუთრეთა და ორგანიზაციათა საჭიროებისათვის სასუქებისა და შხამქიმიკატების ზუსტი რაოდენობა.

დღეისათვის განაცხადი შემოტანილი აქვს ორგანიზაციების მხოლოდ 30 პროცენტს.

ამ დღეებში დავიწყებთ და თვის ბოლოსათვის დამთავრდება სოფლად ფართობებში სასუქების შეტანა-ჩაკეთება, რაშიც სათანადო დახმარება უნდა გაგვიწიონ სოფლის ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა.

დრო არ ითმენს. გაზაფხულს უნდა მოვუმზადოთ განოყიერებული მიწები — როგორც გარანტი მოსავლიანობის გადიდებისა.

ადამიანი თავის ადგილზე

# ამაგდარი

ქალაქ ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ლავრენტი ლატარიას ახლახან შეუსრულდა დაბადებიდან 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

ლ. ლატარია ატარებს შინაარსიან, დახვეწილ გაკვეთილებს, მოსწავლეებს უნერგავს მათემატიკური მეცნიერებისადმი სიყვარულს. ამიტომ არის, რომ მისი ყოფილი მოსწავლეებიდან ბევრია მეცნიერი, მასწავლებელი, ინჟინერი, ექიმი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტი.

ლ. ლატარიამ პირველ საშუალო სკოლაში რამდენიმე წელი იმუშავა დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ამჟამად იგი თავის ერთგულ მეგობარ-კოლეგებთან აკ. ჭურღულიასთან, შ. იზორიასთან და მ. შეროზიასთან ერთად ნაყოფიერად ხელმძღვანელობს მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებას.

მათემატიკის, როგორც წამყვანი მეცნიერების, პოპულარიზაციის მიზნით გარკვეული მუშაობა ტარდება სკოლაში. მათემატიკისადმი მიდრეკილების მქონე ახალგაზრდების გამოსავლინებლად გეგმიურად ეწყობა შიდასასკოლო ოლიმპიადები, ამავე მიზანს ემსახურება საგნობრივი წრეების მუშაობა, თეორიული კონფერენციების ჩატარება.

ბატონმა ლავრენტიმ კარგად იცის, რომ ავტორიტეტი ყველას სჭირდება, პირველ რიგში მასწავლებელს, რადგან უავტორიტეტო მასწავლებელი იგივეა, რაც უწყლო წისქვილი. კოლეგებს და მოსწავლეებს უყვართ იგი, აფასებენ და სჯერათ მისი. დიახაც რომ ღირსეულად აქვს მინიჭებული „უფროსი მასწავლებლის“ წოდება.

სახალხო განათლების წარჩინებული, ღვაწლმოსილი მასწავლებელი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ეწევა ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს მუშაობაში.

მ. ხარჩილავა,
ვ. ჩიტაია,
პენსიონერი პედაგოგები.

სპეციალისტის არქივიდან

# ორიოდე სიტყვა სიმინდის შესახებ

სიმინდი, დღემდე ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით, მიჩნეულია ამერიკულ კულტურად. 1948 წელს ნიუ-მექსიკოს შტატის ერთერთ ხეობაში ჩატარებული გათხრების შედეგად დადგენილია, რომ სიმინდის კულტურას ამერიკაში 4500 წლის ისტორია აქვს.

ცნობილი სელექციონერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ლ. დეკაპრელევიჩი თვლიდა, რომ სიმინდი ევროპაში ამერიკიდან არის შემოტანილი. მისი შემოტანის დროა კოლუმბის ექსპედიციის პერიოდი. ე. ი. მე-15 საუკუნის მიწურული, 1500 წელს სიმინდის კულტურას ესპანეთში იცნობდნენ. 1515-1525 წლებში იგი შედის პორტუგალიაში, 1582 წელს ჩნდება გერმანიაში. 1539 წელს კი მკვიდრდება იტალიაში. დასავლეთ ევროპიდან სიმინდი ინტენსიურად გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში. საქართველოში სიმინდის გავრცელების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არავის მოუცია. საკმარისი არგუმენტები არსებობს იმისათვის, რომ ვივარაუდოთ: იგი დასავლეთ საქართველოში ლაზებმა შემოიტანეს.

როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი გვასწავლის, მე-18 საუკუნემდე ბოსტანს ქართულად „მტილი“ ერქვა, მებოსტნეობას კი—„მემტილეობა“. კულტურულ მემცენარეობაში დღეს არსებული ყველა მარცვლეული და თავთავიანი კულტურები თავდა-

პირველად ბოსტნის კულტურები იყო, გარკვეული დროის შემდეგ ისინი გავიდნენ ბოსტნიდან და გახდნენ მინდვრის კულტურები. ეს გზა ყველა ქვეყანაში განვლო სიმინდმაც. ასე მოხდა საქართველოშიც.

ისტორიული ფაქტია, რომ ლაზებს — სახელგანთქმულ ზღვაოსნებს, მე-16 — მე-17 საუკუნეებში მჭიდრო კავშირურთიერთობა ჰქონდათ ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან, კერძოდ — სიცილიასთან. სწორედ სიცილიიდან იქნა იგი შემოტანილი ლაზების მიერ დასავლეთ საქართველოში. ამ ბოსტნის კულტურას თვით ლაზებმა სამართლიანად დაარქვეს „ლაზური ბოსტანი“. უფრო სწორად მე-17 საუკუნეში არსებული სახელწოდების მიხედვით „ლაზურმტილი“. ამ ტერმინმა სახე იცვალა და საბოლოოდ მას „ლაზუტი“ დაერქვა. აქედან იღებს სათავეს სიმინდის მეგრული სახელწოდებაც.

როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში სიმინდს „მაის“, „ზეამაის“ ჰქვია. მეგრულად მას „ლაიტის“, „ლასტს“, „ლატს“ ეძახდნენ. თუ ჩავუღრმავდებით და გავაანალიზებთ ამ ტერმინებს, იგი მიგვიყვანს მეგრულ-ლაზურ წარმომავლობამდე. (აღნიშვნის ღირსია ერთი დეტალი: „მტილი“-დან იღებს სათავეს მშვენიერი მეგრული ტერმინი— „ორტვინი“, — ოსუნელე —ომტილე — ორტვინი. ა. შ.).

სიმინდი როგორც კი გავიდა ბოსტნიდან და გახდა მინდვრის კულტურა, მან ჩვენში „დაჩაგრა“ თავთავიანი და მარცვლოვანი კულტურები. ამას ხელი შეუწყო მისმა დადებითმა თვისებებმა: სიმინდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია ადვილი იყო სხვა კულტურებთან შედარებით. ამასთან სიმინდი უნივერსალური კულტურაც იყო: მისგან მზადდებოდა მჭადი, ღომის ფაფა, ქყინტი სიმინდი სადესერტო პროდუქტი გახლდათ, სიმინდის ხმელი მარცვალი მოხარშვის შედეგად სასიამოვნო კვების პროდუქტი ხდებოდა. სიმინდისაგან ღებულობდნენ სახამებელს, მისგან ხდიდნენ ძვირფას სპირტს. სიმინდი უხვად იძლეოდა ჩალას და ფუჩეჩს. ამ ძვირფასი თვისებების გამო კერძო წისქვილის მფლობელმა ბაჟის (მინდის) აღება ამ კულტურისგან დაიწყეს, საიდანაც მიიღო თავისი ქართული სახელწოდება „სიმინდი“— სამინდო —საბაჟო კულტურა ანუ „სიმინდი“.

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერების მიერ წამოყენებულია მოსაზრებები საქართველოში სიმინდის კულტურის გაჩენის გარშემო. ზოგი მათგანი მიუთითებს, რომ იგი დასავლეთ საქართველოში მე-17 საუკუნის პირველ ნახევარშია შემოტანილი, არის სხვა მოსაზრებებიც. ამ სტრიქონების ავტორსაც გააჩნია მასალები, რომლის მიხედვით ეს კულტურა დასავლეთ საქართველოში მე-17 საუკუნის 40-იან წლებში დაინერგა.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მიუთითებს: „...და არს ხეობა ესე ხეფინის ხევი მოსავლიანი, ვენახოვანი, ხილიანი. არს ცხოვრი უტუმო, სთესენ სიმინდსა მრავალსა“. ხეფინის ხევი მდებარეობს ლიხის მთის კალთაზე, იმერეთისა და ქართლის საზღვარზე. ვახუშტის დამოწმებითაც უნდა დავასკვნათ, რომ სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში გავრცელებულა მე-17 საუკუნის 40-იან წლებში.

არც ლამბერტის, არც დონ ჯუზეპე-ჯუდიჩე მილანელის წერილები და რელაციები არ გვაძლევენ უტყუარ საბუთებს სამეგრელოში სიმინდის გავრცელების დროის დასადგენად. არც ფრანგი მოგზაურის შარდენის თხზულებებიც, რომელსაც თვალით არ უნახია სიმინდი სამეგრელოში. იმ დროისათვის ჩვენში გავრცელებული კაჟა სიმინდი აგვისტოს ბოლოს ამთავრებს სრულ სიმწიფეს. ამდენად ლამბერტის თხზულებებიც ვერ მოგვცემს ჩვენში სიმინდის გავრცელების თარიღის დადგენის გარანტიას.

ქართველი კაცის გენიამ საოცარი მოახდინა. დროის მოკლე ვადაში შესძლო კბილა და კაჟა სიმინდის ჯიშების როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური შეჯვარებით, რომელიც ყოველგვარი საცდელი ნაკვეთისა და ლაბორატორიის გარეშე, ჭკვიანი ხალხის ინტუიციით და გამრჯე მარჯვენით ხორციელდებოდა, გამოყვანილ იქნა მსოფლიოში ორი უნიკალური ქართული სიმინდის ჯიში, როგორიცაა „აბაშის ყვითელი“ და „აჭამეთის თეთრი“. ეს ჯიშები ხასიათდება სიმინდისათვის დამახასიათებელი ყველა კარგი თვისებით, რაც მთავარიია და რაშიაც არის მათი უნიკალობა, თესლი არ ითიშება.

გულდასაწყვეტია ის უპატივისცემლობა, რაც 70-იანი წლებიდან ვლინდება ამ ძვირფასი ჯიშების მიმართ. შუა ევროპიდან შემოაქვთ სიმინდის თესლის მარტივი ჰიბრიდები და ყველაზე ნოყიერ ნიადაგს უთმობენ მას. მინდვრიდან იდევნება ჩვენებური უნიკალური სიმინდის ჯიშები. ასეთი საქციელი ბოროტება თუ არა, დიდი შეცდომა მაინც არის. ბოლო უნდა მოეღოს ვოლუნტარიზმს და უგუნურობას, თავისი ღირსეული ადგილი უნდა დავუბრუნოთ „აჭამეთის თეთრს“ და „აბაშის ყვითელს“. ეს სადღეისო ამოცანაა. მისი სახვალიოდ გადადება დიდ ზიანს მოუტანს ჩვენს სოფლის მშრომელებს და საერთოდ სოფლის მეურნეობას.

ამირან შეროზია,
სწავლული აგრონომი.

# არ დავუშვათ გარემოს დაბინძურება

ჩვენი ბუნება ჩვენი ეროვნული განძია, საერთო-სახალხო საკუთრებაა და რაოდენ დასანანია, რომ ამ სიმდიდრეს ჯეროვნად არ ვუფრთხილდებით, ხშირად კი შეგნებულად ვანადგურებთ. გულგრილობას ვიჩენთ იმ გადაგვარებულ ადამიანთა მიმართ, ვინც აბინძურებს მიწას, წყალს, ჰაერს და ამით ხელს უწყობს ჩვენივე ჯანმრთელობის ხელყოფას.

სამწუხაროა და დასანანი, როცა ვხედავთ ზუგდიდელების მიერ გარემოს დაცვისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს: მოსახლეობას არ ეწევა კომუნალური მომსახურება, რის გამოც ქალაქისა და რაიონის ნებისმიერ ტერიტორიაზე — მდინარეებში, ბაღებში, პარკებში, მაღაზიებთან, ხიდებთან, დაწესებულებებთან მიყრილია საოჯახო ნარჩენები, საწარმოებში მოშლილია ნავთობპროდუქტდამჭერები, მაგალითად ფაიფურის ქარხანა და ჩაის კომბინატი „ოდიში“ აბინძურებენ მდინარე ჩხოუშიას.

მოუთმენელი მდგომარეობაა საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე, საიდანაც კომუნალური მეურნეობის სამსახურს არ გააქვს დაგროვილი ნაგავ-ნარჩენი.

უმოქმედოა წყალკანალიზაციის სამმართველოს, ქალაქის საწარმოებისა და მოსახლეობის მიერ ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობა, ანალოგიურ მდგომარეობაშია ენგურქაღალდკომბინატის გამწმენდი ნაგებობაც.

მთლიანად მოშლილია რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ჩაის ფაბრიკების, მეფრინველეობის, მეღორეობის, ქვის დამამუშავებელი საამქროების ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობები და ნავთობპროდუქტდამჭერი მოწყობილობანი.

გარემო დაცვის ზუგდიდის რეგიონალური კომპლექსური ლაბორატორია თხოვნით მიმართავს ორგანიზაცია-დაწესებულების ხელმძღვანელებს, კერძო მოსახლეობას, არ დაუშვან გარემოს დაბინძურება, თორემ მოსალოდნელია ჩვენი სიცოცხლისათვის საშიში დაავადების გავრცელება.

აუცილებელია ადგილობრივმა ზემდგომმა ორგანოებმა გარემო დაცვის კომპლექსურ ლაბორატორიასთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ შესასრულებელი სავალდებულო ღონისძიებები რეგიონში გარემოს დაცვის მიზნით.

თ. თოდუა,
გარემო დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომპლექსური ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტი.

## ეს საინტერესოა

ამას წინათ ზუგდიდში მცირე საწარმოო „დელტა“ ინფორმთან გაიხსნა საკომერციო-საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მომსახურეობას გაუწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას სხვადასხვა საკომერციო საქმიანობაში, კერძოდ: ბინების და საცხოვრებელი სახლების გაცვლა-გაყიდვაში, სხვადასხვა მარკის ავტომანქანების შეძენაში, ტექნიკური აღჭურვილობათა და დანადგარების, საშენი მასალების შოვნაში.

მიმართეთ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, ამით თქვენ მოიგებთ დროს, შეამცირებთ საოჯახო ბიუჯეტის ხარჯებს და რაც მთავარია მიიღებთ ამომწურავ პასუხს თქვენთვის საინტერესო ცხოვრებისეულ ყველა საკითხზე. ცენტრს გააჩნია ზუსტი ინფორმაცია თუ რა მდგომარეობაა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მათი პროფილის მიხედვით. ადგილზე გაფორმებულ ვიტრინებში გამოიკრება მოსახლეობისათვის საინტერესო განცხადებები და ინფორმაციები.

ჩვენი მისამართია: ზუგდიდი აღმაშენებლის № 16 (ყოფილი წყალ-კანალიზაციის შენობა) დილის 10 საათიდან 15 საათამდე გარდა შაბათი კვირისა ან დარეკეთ 2-44-51, 2-12-17, 2-28-73.

„დელტა“ ინფორმი.

რატომ ვამბოგთ ასე?

## ბართლომეს ღამე

ამ გამოთქმაში იგულისხმება უმფარველო ხალხის მასობრივი სისხლიანი ჟლეტა-ხოცვა.

კათოლიკური ეკლესიის ბურჟუაზიულმა რეფორმებმა ყველაზე ნათელი გამოხატულება ჰპოვა კალვინის მოძღვრებაში. კალვინისტებს საფრანგეთში ჰუგენოტები ეწოდებოდა.

1572 წელს ჰუგენოტების ბელადი ჰენრიხ ნავარელი საფრანგეთის მეფის კარლოს მეცხრის დას, მარგარიტას ირთავდა. ქორწილზე დასასწრებლად პროვინციებიდან ბევრი გავლენიანი ჰუგენოტი ჩამოვიდა პარიზში. კათოლიკებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და გადაწყვიტეს ჰუგენოტებთან ანგარიშის გასწორება.

ღამით, 1572 წლის 23 აგვისტოს, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინ, ატყდა ზარების რეკვა, რაც იმის სიგნალი იყო, რომ შესდგომოდნენ ჰუგენოტების ხოცვას. გაიჟლიტა ათასობით ადამიანი.

მეუღლე ნარგიზა, შვილები: ზური, ნუგზარი, ირა შეროზიები. რძლები: ნანი, მანანა, ლალი. დები: ელისო, თათუშა. ძმა თემური. სიძეები: ჯემალი ჩანგელია, მურადი თოფურია. სიდედრი აგრაფინა. ცოლისდა თალიკო. შვილიშვილები, ბიძაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან

**რენცო პავლეს ძე შეროზიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20 მარტს. დაკრძალვა 23 მარტს სამშაბათს. ქ. ზუგდიდში. გამოსვენება გაგარინის ქ. 14-დან.

## მამულს სჭირდება მისი სიცოცხლე

ექვსი წლის დათა თამაზის ძე ბუკია დაავადებულია გულის მანკით, აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია მაღალკვალიფიცირებული მედიკოსების მიერ ქ. მოსკოვში, რისთვისაც საჭიროა სოლიდური თანხა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღო ზუგდიდის პოლიტექნიკურმა კოლეჯმა.

ძნელია ასეთ მძიმე ეკონომიურ პირობებში მიმართო თხოვნით თანაქალაქელებს ქველმოქმედებისათვის, მაგრამ ვიმედოვნებთ არსებობს ადამიანური კეთილშობილება გამოხატული გულმოწყალებით, რომელიც დათას სიცოცხლის ხსნა იქნება.

გთხოვთ ფინანსურ დახმარებას!

ანგარიში გახსნილია ზუგდიდის აგრომრეწვბანკში №70072.

მადლობის გრძნობით მშობლები ნატო და თამაზ ბუკიები.

## სარედაქციო კოლეგია

მეუღლე კოლია, შვილები: ლეილა, ირა, იზა, ლუიზა; კაკო ლომაიები, შვილიშვილები: თეა, ზაზა ბეჭვაიები, ნიკო შელია, სიძეები: ნოდარ მაქაცარია, ბონდო ბეჭვაია, ჯანიკო შელია, კახა ნაჯავა, დები: დაფინო, პელუშა მებონიები, მული თამარი, ძმისშვილები, დისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**თამარ გრიგოლის ასულ მებონია-ლომაიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 18, 19, 20 მარტს. დაკრძალვა კვირას, 21 მარტს. სოფელი ნარაზენში.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 24-80, რედაქტორის მოადგილის 2-38-69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 600, შეკ. 218.